თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

გიორგი ნარიმანიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ჯიჰადისტური დაჯგუფებები საერთაშორისო კონფლიქტებში

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ისლამისტური ჯიჰადისტური დაჯგუფებების როლი საერთაშორისო კონფლიქტებში. მათი როლის კვლევისთვის მოცემულია სამი შეიარაღებული კონფლიქტი: ორი მიმდინარე კონფლიქტი (რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომი), კონფლიქტი ღაზაში (2023) და ერთი დასრულებული ყარბაღის მეორე ომი. ასეთი საერთაშორისო კონფლიქტები ჯიჰადისტური დაჯგუფებებისთვის გამოცდილების მიღების და ბრძოლისთვის კარგ საშუალებას წამოადგენს. თუმცა ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს ამ კონფლიქტების მიმართ განსხვავებული პოზიციები აქვს. სტატია წარმოადგენს მცდელობას, პასუხი გასცეს კითხვას: რატომ ერთვებიან ან არ ერთვებიან ჯიჰადისტური დაჯგუფებები ამა თუ იმ კონფლიქტში.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, ჯიჰადისტური ორგანიზაციები, უკრაინა, ყარაბაღი, ღაზა*

ტერორისტული დაჯგუფებების საერთაშორისო კონფლიქტებში მონაწილეობის გასაგებად საჭიროა იმ მიზნების ანალიზი, რომლის მიღწევაც სურთ დაჯგუფებებს. ტერორისტულ დაჯგუფებებს სხვადასხვა მიზნები აქვს: ტერიტორიული ცვლილება, პოლიტიკის ცვლილება, სოციალური კონტროლი. თამილის ვეფხვები და ე.წ. ისლამური სახელმწიფო მიზნად სახელმწიფოს შექმნას ისახავს, კუ კლუქს კლანი და ანტიაბორტული მოძრაობა აშშ-ში სოციალური კონტროლისთვის იბრძვიან, ალ-კაიდას მიზანს კი ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანას წარმოადგენს.

მიზნის მიღწევა დაკავშირებულია სტრატეგიებთან, რომელსაც ტერორისტული დაჯგუფებები იდეოლოგიის შესაბამისად განსაზღვრავენ. საერთაშორისო კონფლიქტებში მონაწილეობა ჯიჰადისტური დაჯგუფებებისთვის გლობალური ჯიჰადის ნაწილს წარმოადგენს და ამით გამართებულია. ნაციონალისტური დაჯგუფებები კი შესაძლოა ჩაერთონ კონფლიქტებში ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების დაცვის მიზნით.

კვლევა ეხება უკანასკნელ პერიოდში მომხდარ თუ მიმდინარე სამ მნიშვნელოვან შეიარაღებულ კონფლიქტს - ყარაბაღის მეორე ომი, რუსეთ-უკრაინის ომი და ღაზაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები - რომლის მიმართაც ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ ოფიციალური მედიისა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.

კვლევის მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ჯიჰადისტური დაჯგუფებების იმ მედია-საშუალებების ანალიზს, რომელსაც აქტიურად იყენებს ეს დაჯგუფებები საკუთარი პოზიციების გამოსახატად. ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მთავარ მედიას წარმოადგენს ჟურნალი "ან-ნაბა'", ასევე საერთაშორისო თემატიკაზე ინგლისურენოვანი სტატიები ქვეყნდება „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათთან“ აფილირებულ ჟურნალ „ხორასანის ხმაში“. შესაბამისად ამ დაჯგუფების შეხედულებების ანალიზისთვის სწორედ ამ ჟურნალების სტატიებია გაანალიზებული. ასევე, კვლევის წყაროს წარმოადგენს ის ვიდეო თუ აუდიო ინტერვიუები და ჩანაწერები, სადაც ჯიჰადისტური დაჯგუფებების ლიდერები თუ წევრები მკაფიოდ გამოხატავენ საკუთარ თუ ორგანიზაციის დამოკიდებულებას კვლევაში აღნიშნული კონფლიქტების მიმართ.

2022 წლის 24 თებერვლის მოვლენებმა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები შეცვალა და მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ჯიჰადისტური რადიკალური დაჯგუფებები აღმოჩნდნენ. ამ დაჯგუფებებს შორის გამოირჩევა ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომელმაც 2019 წელს ტერიტორიული კონტროლის დაკარგვის შემდეგ შეცვალა საერთო პოლიტიკა და საკუთარი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვნად გაზარდა ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენება, თუმცა ე.წ. გლობალური სახალიფოს იდეაზე უარი არ უთქვამს. ამასთან, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მედია დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ცდილობს, ნებისმიერი რეზონანსული მოვლენა საკუთარი იდეოლოგიის პრიზმაში წარუდგინოს აუდიტორიას. ორგანიზაციის მედია აქტიურად განიხილავს მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა კონფლიქტებს, როგორიცაა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, ახლო აღმოსავლეთისა თუ აფრიკის კონფლიქტები, ჩინეთში უიღურების საკითხი, ინდოეთში არსებული ინდუისტურ-ისლამური დაპირისპირებები. ხშირ შემთხვევებში საუბარია, ხსენებულ კონფლიქტებში ჩართვის მართებულობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ნათლად იკვეთება შეიარაღებული კონფლიქტი მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის.

ყარაბაღი

ყარაბაღის მეორე ომისთვის რელიგიური ელფერის მიცემა გარკვეული ჯგუფების ინტერესებში შედიოდა, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებულ კონფლიქტს ჯიჰადის სახე არ მიუღია. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროპაგანდა აქტიურად ცდილობდა ხსენებულ კონფლიქტში ისლამისტური კვალი აღმოეჩინა, ჯიჰადისტური დაჯგუფებების აქტიური ჩართულობა ყარაბაღის მეორე ომში არ დაფიქსირებულა. აღნიშნული კონფლიქტი აქტიურად განიხილებოდა სოციალურ ქსელებში არსებულ ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან აფილირებულ ჯგუფებში. ძირითად შემთხვევებში, იდეოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, ჯიჰადისტების პოზიციები ხსენებულ შემთხვევაში თანხვედრაში მოდიოდა - სეკულარული სახელმწიფოების კონფლიქტში „მუსლიმთა“ ჩარევა მიუღებელია. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში ჯიჰადის ახალი კერა არ გაჩენილა და კონფლიქტი სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებას არ გასცდენია. კონფლიქტის მიმართ საკუთარი მკაფიო პოზიცია დააფიქსირა „ისლამურმა სახელმწიფომ“. ორგანიზაციის პროპაგანდის თანახმად, მათ შორის ეთნიკური

აზერბაიჯანელების მხრიდან, აზერბაიჯანი არ შეიძლება განხილულ იქნას მუსლიმურ ქვეყანად, ხოლო მოსახლეობა, გარდა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებისა, არ არიან მუსლიმები, შესაბამისად მათ მხარეს ბრძოლა რელიგიურად მიუღებელია.

უკრაინა

უკრაინაში მიმდინარე რუსული აგრესია გაცილებით უფრო კომპლექსური აღმოჩნდა. აღნიშნულ კონფლიქტში აქტიურად არიან ჩართულები მუსლიმები, განსაკუთრებით კი ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები, რომლებიც იბრძვიან უკრაინის მხარეს, ასევე მის წინააღმდეგ. ხსენებულ საბრძოლო მოქმედებებში ჩრდილოკავკასიელების აქტიურმა ჩართულობამ და აგრესორ მხარედ რუსეთის ღიად წარმოჩინებამ ჯიჰადისტურად განწყობილ ჩრდილოკავკასიურ სეგმენტში გარკვეული შესაძლებლობების ახალი ფანჯარა გახსნა. უკრაინაში რუსული აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად სირიიდან გაემართა არაერთი მებრძოლი, რომლებიც გასულ პერიოდში გაწევრიანებულები იყვნენ ან ხელმძღვანელობდნენ ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს. მათი განცხადებით, უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი იძლევა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომა მკაცრად გააკრიტიკა ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ და აუკრძალა საკუთარ მებრძოლებს უკრაინის ომში ჩართვა. ორგანიზაციის განცხადებით, „ურწმუნოებს“ შორის მიმდინარე ომში მონაწილეობა და „ურწმუნოთა“ დროშის ქვეშ ბრძოლა კატეგორიულად მიუღებელია, მათ შორის საბრძოლო გამოცდილების მიღების მიზნითაც. შედარებით რბილი პოზიცია დაიკავეს სხვა ჯიჰადისტურმა ორგანიზაციებმა, თუმცა ანტირუსული რიტორიკით შემოიფარგლნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სამეთაურო რგოლმა უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები აღიქვა, როგორც ხელსაყრელი მომენტი ევროპის ტერიტორიაზე გააქტიურებისთვის. 2022 წლის აპრილში, ორგანიზაციის პრეს-სპიკერმა, აბუ უმარ ალ-მუჰაჯირმა საკუთარ აუდიომიმართვაში განიხილა ხსენებული კონფლიქტი და აღნიშნა, რომ ხანგრძლივი ომი დაასუსტებს „მუსლიმთა“ მტრებს, რაც მათ მოქმედების მეტ შესაძლებლობას მისცემს.

ღაზა

ჯიჰადისტური ორგანიზაციებისთვის ყველაზე რეზონანსული აღმოჩნდა ღაზაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტი. თითქმის ყველა ისლამისტურმა ორგანიზაციამ დააფიქსირა პალესტინელთა მხარდაჭერა და უმკაცრესად დაგმო ისრაელის ქმედებები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, ხსენებული ორგანიზაციების უმეტესობამ არ გამოხატა ჰამასისადმი მხარდაჭერა და საკუთარ რიტორიკაში მხოლოდ პალესტინელ ხალხზე საუბრობდნენ. თუმცა, ალ-კაიდას განშტოებებმა მხარი დაუჭირა ჰამასის ქმედებებს ისრაელში. ალ-კაიდას დაჯგუფებამ იემენში მოიწონა ჰამასის ქმედებები და მის მომხრეებს მოუწოდა მთელ მსოფლიოში, რომ ეს მომენტი გამოეყენებინათ. სომალიში მოქმედმა აშ-შაბაბის დაჯგუფებამ განცხადება გაავრცელა: "ჩვენ მივესალმებით მამაც გმირებს, უშიშარ მებრძოლებს და ყველას, ვინც ამ მიწაზეა". დაჯგუფება ღმერთს ჯიდლოს თხოვდა ჯიჰადისტებისთვის და მათი კეთილშობილი ქმედებებისთვის.

უზბეკებით დაკომპლექტებული დაჯგუფება ქათიბათ ათ-თავჰიდ ვალ-ჯიჰად დაჯგუფების ლიდერმა აბდულ აზიზმა ორი ვიდეო გაავრცელა, რომელთაგან ერთ-ერთში ჰამასის თავდასხმა ტაქტიკურად გამართლებულად შეაფასა, რომელიც ითვალისწინებს მომავალში პალესტინის ხანგრძლივი კონფლიქტის პოზიტიურ გადაწყვეტას. აბდულა აზიზი ჰამასის ქმედებებს ვიეტკონგის ტაქტიკას ადარებდა, რამაც ამერიკაში ომის საწინააღმდეგო გამოსვლები გამოიწვია და რასაც ამერიკის პრეზიდენტის ნიქსონის გადადგომა და ვიეტნამიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა მოყვა. შესაბამისად, ჰამასის მიზანიც უნდა იყოს ის, რომ მთელ მსოფლიოს ისრაელის ნამდვილი გეგმები აჩვენოს, რომელიც პალესტინის წინააღმდეგაა მიმართული.

საკუთარ განცხადებებში კვლავ ყველაზე მკაცრი ე.წ. ისლამური სახელმწიფო იყო. ისრაელის პარალელურად, ორგანიზაციამ მკაცრად გააკრიტიკა ჰამასი, მუსლიმური ქვეყნების მთავრობები და ისინი ისრაელისა და დასავლეთის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნებისმიერი ბრძოლა ისლამის სახელით უნდა მიმდინარეობდეს. შესაბამისად, მხოლოდ "ალ-მუვაჰჰიდუნს" (ამ ტერმინს იყენებენ ისლამისტური დაჯგუფებები და მისი მიმდევრების აღსანიშნავად) ძალუძს ისრაელის დამარცხება და პალესტინელთა გადარჩენა. ეს პოზიცია ნათლად გამოჩნდა დაჯგუფების სპიკერის აბუ ომარ ალ-მუჰაჯირის სიტყვაში, სადაც ის მუსლიმებს მოუწოდებდა, თვალი ედევნებინათ საკუთარი ხელისუფლებებისთვის ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს რომ აწარმოებდნენ. ალ-მუჰაჯირის მოსაზრებით, ეს ხელისუფლებები ადრე თუ საიდუმლოდ ცდილობდნენ ისრაელთან მშვიდობის დამყარებას და საჯაროდ კი პალესტინის გათავისუფლების ლოზუნგებით გამოდიოდნენ, ბოლო პერიოდში ისინი უკვე ღიად ამყარებდნენ ურთიერთობებს ისრაელთან.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჯიჰადისტური დაჯგუფებები ყურადღებით აკვირდებიან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა მსხვილ შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართულობისგან თავს იკავებენ. აღნიშნული პოზიცია შესაძლებელია აიხსნას რამდენიმე ფაქტორით. უპირველეს ყოვლისა, მიმდინარე ეტაპზე ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს არ აქვთ საკმარისი რესურსი ჩაერთონ კონვენციურ ბრძოლებში და ამჯობინებენ პარტიზანულ-დივერსიულ ტაქტიკას, მოწინააღმდეგის ეტაპობრივი გამოფიტვისა და მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით. საკუთარი მიზნების მიღწევისთვის ხსენებული დაჯგუფებები იყენებენ ჰიბრიდული ომის ელემენტებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებს. პროპაგანდისა და ექსტრემისტული ნარტივების გავრცელების მეშვეობით ჯიჰადისტები ახორციელებენ ცივილიზებული სამყაროს დემონიზაციასა და ტერორიზმის რომანტიზირებას. რა თქმა უნდა, ისლამისტთა ნარატივებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე კონფლიქტების განხილვას და მხარდამჭერებისა თუ პოტენციურად მოწყვლად ჯგუფებში საკუთარი პოზიციების განმტკიცებას. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მიმდინარე კონფლიქტების შეფასებები ჯიჰადისტთა მხრიდან. ისლამის სახელით მოსაუბრე ექსტრემისტები საკუთარ სისუსტეს თუ უმოქმედობას რელიგიური ვალდებულებებით ამართლებენ, ხოლო მუსლიმთა

„დამარცხებებს“ მათი „ალაჰისა და მისი მოციქულის გზიდან გადახვევით“ ხსნიან. ამავე დროს ქადაგებენ, რომ მუსლიმთა ერთადერთი ხსნა და გზა გამარჯვებისკენ სწორედ მათი ორგანიზაციის რიგებში გაერთიანება და მათი დროშის ქვეშ ბრძოლაა. შესაბამისად, „ურწმუნოთა“ თუ „სეკულარისტთა“ რიგებში ბრძოლა, როგორც რელიგიურად გაუმართლებელია, ასევე სუფთა პრაქტიკული მხრიდან იმ ადამიანური რესურსის ხარჯვაა, რომელიც „ისლამის გამარჯვებას“ უნდა მოხმარდეს.